ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული



## საყმაწვილო ჟურნალი

აგვისტო
№ 16

1910

მცირე წლოვანთათვის
წელიწადი მეექვსე

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

I—ნაცარ-ქექია,—ხალხური ზღაპარი, (დასასრული) ა. შან-შიაშვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

II—კურდღლის ჩივილი,—გ. თამროშვილისა . . . . . . . . . . . . 8

III—ყბედი ბოლოკი,—(დასასრული) კორძელისა . . . . . . . . .11

IV—კატა და მზარეული,—იგავი მ. ლელაშვილისა . . . . . .16

V—სხივოსანი ფეია,—(თარგმანი) ნ. ავალიანისა . . . . . . . . .18

VI—ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა,—ტა-სოსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .23

VII—ა) ზმა,—ბ) რებუსები და ალსნა . . . . . . . . . . . . . . . .24

ეროვნული ბიბლიოთეკა




წლიწადი მე-VI. № 16 აგვისტო, 1910 წ.




ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის.

# შინაარსი.

I — ნაცარ-ქექია, — ხალხური ზღაპარი, (დასასრული) ა. შან-შიაშვილისა . . . . . . . . . . 3

II — კურდღლის ჩივილი, — ვ. თამროშვილისა . . . . . . . . . . 8

III — ყბედი ბოლოკი, — (დასასრული) კორდელისა . . . . . . . . . 11

IV — კატა და მზარეული, — იგავი მ. ლელაშვილისა . . . . . 16

V — სხივოსანი ფეია, — (თარგმანი) ნ. ავალიანისა . . . . . . . . . 18

VI — ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა, — ტა-სოსი . . . . . . . . . . . . . . . . 23

VII — ა) ზმა, — ბ) რებუსები და ახსნა . . . . . . . . . . . . . . . . . 24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ ა ც ა რ - ქ ე ქ ი ა.

(დასასრული).

## ნაწილი მეორე

ნაცარ-ქექიას მოეწონა დევის სახლ-კარი,
მოწყობილობა ოთახისა სხვა და სხვა გვარი.
კეცი ხმიადით დაინახა ბუხარს შემდგარი;
გამზადებული სანოვაგე იყო მრავალი.
დევი წავიდა სადილისა მოსამზადებლად,
ნაცარ-ქექია დააყენა ყურის საგდებლად,
რომ ნელის ცეცხლით ხმიადები გამომცხვარიყო
და უპატრონოდ ნაკვერჩხალზე არ დამწვარიყო.

—

კეცს დასჭირდა მობრუნება,
შეუწითლდა ცალი მხარი;
ეწვალა და ვერას გახდა,
დიდი იყო, აბეზარი.
რა მოავლო ხელი გვერდსა,
დასძალა, ქვეშ მოიტანა;
ბევრს ეცადა, ვერ გამოძვრა,
თავი ვეღარ გაიტანა!
დევები რომ შემოვიდნენ,
ნახეს კეცში მოყოლილი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაჰკვირდნენ და დაეკითხნენ:
— რაა ესე საქმე ქმნილი?
— საკვირველი აქ რა ნახეთ,
კეცი არის კარგა თბილი;
და მუცელზე დავიდე, რომ
გამექარვა მით ტკივილი!
ახლა ვგონებ კარგადა ვერ,
ასწი, თუ გაქვს, აბა, ღონე;
დადგი ისევ თავის ადგილს
და თავიდგან მომაშორე.
როცა სუფრას შემოუსხდნენ,
შემოაკლდათ დევებს ღვინო;
— აჰა, კოკით შემოიტა,
ეგებ ყველა მოგვალხინო!

—

რა დაინახა ნაცარ-ქექიამ
კოკა მოზრდილი, უშველებელი;
შეშინდა, მაგრამ მაინც გავიდა,
მომებნა ბარი, მკვეთრი და მჭრელი.
ქვევრის გარშემო მიწა ათხარა,
ზანტად მუშაობს, არ ეჩქარება;
დიდხანს უცადეს დევებმა, მაგრამ
ჰხედავენ, იგი აღარ ბრუნდება.
გარედ გავიდნენ და დაინახეს
ხელში ბარითა ნაცარ-ქექია;
მიწა ნახევრად ამოეთხარა,
აღარ აელო მაღლა ქედია.
— მაგას რას ჰშვრები? — ჰკითხეს დევებმა.
— საქმეს ვაკეთებ, საქმეს საქებარს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სჯობს ამოვიღო ქვევრი ერთბაშად,
სულით ვაამო ყველა მეგობარს!
თორე რას გვიზამს კოკა პატარა,
ზიდილი კაცსა მოსწყინდებაო;
ცხრა ძმა გაჰკვირდა: ჩვენ ძლივს ჩავდგითო,
მაგას ერთს უნდა ამოღებაო!
თვითონ აავსეს ხელადა ღვინით,
ნაცარ-ქექია აღარ გასარჯეს;
დასხდნენ სადილად, გამხიარულდნენ,
ჰარი-ჰარალოც-კი შემოსძახეს.

—

ბოლოს დევების ძმამ ჩაახველა
და დედამიწამ იწყო ზანზარი;
ნაცარ-ქექია ჭერსა მიეკრა,
მეტად მსუბუქი, გულით მშიშარი!
აჰხედეს მაღლა და დაინახეს,
რომ უზარმაზარ კოჭს ეჭიდება;
—რას შვრები, კაცო, რაზედა გვღუპავ,
ეგ მელი რაში გამოგადგება?
—მელი-კი არა, პაწაწა წკეპლა,
როგორცა ვხედავ, მე დამჭირდება:
ჩამოვიღებ და ზურგსა აგიწვავთ,
როგორ გაჰბედეთ თქვენ დახველება?
შეშინებულნი ამით დევები
გარედ გავარდნენ და დაიფანტნენ;
ბობღით ჩამოძვრა, სახლი მას დარჩა,
მას შემდეგ აღარ ეცილებოდნენ.

—

ერთს დევს შემოხვდა შუა გზად მელა
და შეაყენა შეშინებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგმართნია, სად მირბიხართ?
დევი მლივს სუნთქავს აღელვებული,
თან ეუბნება: — კაცი ვნახეთ,
მმებსა დაგვიგო შავი მახეთ.
წინაღამ ყველა არ გადაგვყლაპა,
სადმე დამფარე, შემინახეთ.
შემდეგ უამბო, რა სახის იყო,
ან რა ქცევისა, ტანადობისა.
მელა გაჰკვირდა და ასე უთხრა:
— ნუ გეფიქრება მისი მტრობისა!
სახელად ჰქვიან ნაცარ-ქექია,
ის კაცი მეტად საცოდავია;
მე კარგად ვიცნობ, რძალმა გააგდო,
იგი ულონო, შესაბრალია.
რაც-კი ქათმები ჰყავდათ საქათმეს,
გაუჩანაგე ერთს თვეში ყველა;
მაჩვენე — ერთი გაუსწორდები,
რა დღეს დავაყრი — მოგეცეს ლხენა!
დევმა მიუგო: — ვერ გენდობით,
მოდი და თოკით გამომებით.
თუ საფრთხე გველის — ორივე მოვკვდეთ,
მიმტყუნებ, გზაში გაიქცევით.
მელამ მოიბა გრძელი საბელი,
თვითონ წინ მიდის, მას დევი მისდევს;
გამოეგება ნაცარ-ქექია,
ორივეს ტკბილად სალამსა აძლევს,
თან ეუბნება მელას თამამად:
— წადი და სახლში შეიყვანეთ;
ჩემი თორმეტი დევი გემართა,
ბედ, მხდალო, ერთი მომიყვანეთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ესმა დევსა, თოკი გაგლიჯა,
ცხრა მთას იქითა გადაირბინა;
სარჩო-სიმდიდრით, ოქროთ და ვერცხლით
მარტო მას დარჩა დევების ბინა!

ა. შანშიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კურდღლის ჩივილი.

ყველასგან ათვალწუნებული კურდღლის ბაჭია ვარ. ღმერთსაც მოვძულებივარ და ქვეყანასაც, არავინ ყურადღებას აღარ მაქცევს, თითქოს უსულო, უსარგებლო რამ ვიყო, უბრალო ბელტი, რომელსაც ერთ ადგილს გდებით გვერდები სტკივა.

უპატრონო, უკიაპო როდი ვარ?! მყავს დედა, მამა, დაძმანი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მე იმათ აღარ ვიცნობ და ისინი მე. დავიბადე თუ არა, იმათთან სულ ოთხ დღეზე მეტი აღარ მიცხოვრია გამზრდნენ, ყველა მათგანმა თავისი გზა მონახა, ულრან ტყეს შეერივნენ. მე ერთ დიდს ჯაგის ძირს დავიბადე სისხამ დილაზედ; იმ დილით დედაჩემთან სხვა ჩვენი გვარისანი ბევრნი მოვიდნენ, ძეობას ულოცავდნენ. მამა-ჩემს ულვაშები ვაჟკაცურად გადაეგრიხა, დოინჯშემოყრილი ჩიბუხს აბოლებდა და მადლს უხდიდა მოსულ მეზობელთ.

თურმე მე სხვა და-ძმანიც მყოლოდნენ და უმცროსი მათში კი მე ვიყავი. ძალიან სუსტი ვიყავი დაბადების ჟამს, ძლივს ვლასლასებდი, არაქათი არ მქონდა ფეხზედ დგომისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ, რაკი მშიერი ტკბილს მუმუას შევეხმაურე, კითხვა მომცა: „მუმუ სამწლიწადს გაწოვო, თუ სა . . . ამ დღე . . . ე-საო?“ მაშინ, მე სულელს, წლისა და დღეების არა გამეგებოდა-რა და, რაკი სამი დღე გამიგრძელდა დედა-ჩემმა, უკანასკნელი ვარჩიე. თავი დავიღუპე გამოუცდელობით. მართლაც მუმუ სამი დღით ვწოვე, მეტი არა, ვფიცავ გაჩენას! მეოთხე დღეს რაღაც დიდმა ხმაურობამ ყველა დაგვაფრთხო, აქეთ-იქით გავიქეცით და მას აქეთ დაშორდი ჩვენებს, ველარ ვნახე. ეს ერთი კვირაა, დილ-დილობით ნამსა ვსუტავ ბალახზედ ალოკილს და ნორჩ ბალახს პირს მოვისველებ. დანარჩენი დრო თითქმის ჯაგში, აი, ამ დიდ წიფლის ქვეშ გავნაბულვარ და თვალების ბლარტუნით ვისმენ ქვეყნის ამბებს. ეს დიდი წიფელი ბევრს რასმეს მომითხრობს. ხანდისხან, ღამით, როდესაც ყველა იძინებს და სიჩუმეა, წიფელი ზღაპარს მეტყვის, კარგს, ტკბილს ზღაპარს, თუ ჩვენზედ შორს როგორ სცხოვრობენ ჩვენი მჭამელნი, ვიღაც დევნი, ორ ფეხზედ მოსიარულენი. დიდ ხანს ლაპარაკობს წიფელი მათს უსამართლობას და ბოლოს ჩუმდება.

გულს სევდა მომწოლია მის ნათქვამზედ.

წიფელს ბევრჯელ გაუფრთხილებივარ:

— ბალღო, ნუ იჩქარი, შორს ნურსად წახვალ, ავი არა შეგემთხვას რამ.

მეც უჯერებ მოხუც წიფელს, უფრო მაგრად ვიკუჭები ჯაგში, თავს ჩემსავე უბეში ვიმალავ.

გუშინ წინ ორი ვიღაცა გამომედევნა, ჯაგში შევძვერ, იქიდან ადგილი ვინაცვლე. ისინი კი მახილით სხვა მხარეს დამეძებდნენ.

— ბიჭო, ლექსო, აქეთ არის, აქეთ! აი, ამ ჯაგს გვერდით მოუარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი ვიცინოდი, ეშმაკურად ვხითხითებდი მათს მასხილ-ზედ.

— შენ, ეი, პატარავ, სიფრთხილე გმართებს, ცუდი არა დაგმართონ-რა, ეგენი ადამიანები არიან, — მითხრა წიფელმა.

მეც სული გავტრუნე, გავინაბე და მას აქეთ უპრალო ჩამიჩუმიც ძილს მიფრთხობს.

ვინ გაიკითხავს პატარა კურდღლის ბაჭიას, დუშმანისაგან თვალში ამოღებულს?!

ვ. თამროშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ყბედი ბოლოკი.

(დასასრული)

აი, კარტოფილის შესახებ მართლაც ამბობენ: „ადამიანის მეგობარია... კარგი, სასარგებლო მცენარეაო!“ სთქვა მხეუჭვრიტამ.

კარტოფილი კი ამ დროს ვარდისა და ცისფრად ჰყვაოდა. ზოგიერთი იმათგანი უკვე მწვანე ბურთებად გადაქცეულიყო. ყველა სხვა და სხვა მწვანილმა კარტოფილისაკენ წამოიწია. კარტოფილს შერცხვა.

— მე არა მეგონია ისეთი შესანიშნავი წინაპრები, როგორც ბოლოკსა, — წყნარადა სთქვა, — მაგრამ ყველა ჩემი მშობლები მხოლოდ ერთსა სცდილობდნენ: ემსახურნათ და სარგებლობა მოეტანათ ხალხისათვის. კარტოფილს სჭამდნენ მოხარშულს, შემწვარს, გამომცხვარს; კარტოფილისას აკეთებდნენ სახამებელს, ჰხდიდნენ არაყს... მახსოვს, ერთ სოფელში პური შემოაკლდათ, ჩემი ძმები მთელ ზამთარს ასაზრდოებდნენ ღარიბებს და სიკვდილს გადაარჩინეს მრავალნი.

კიტრი გატოტედა კვალზე, ულვაშებით მოეხვია კარტოფილს და დიდხანს უცქერდა; თანაც სწუხდა, რომ თითონ ვერ მოჰქონდა ამოდენი სარგებლობა.

— ერთი მითხარი, რასა სჭამენ თქვენსას? აი, მაგ რგვალ ბუშტებს? — ჰკითხა ხაშხაშმა კარტოფილს.

— არა, არა. მიწაში მაქვს წვრილი რქები, ამ რქებზე მსხვილი გორგლები ანუ ქულები სხედან; ამ გორგლებს აზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი შავი თვალები. აი ამათ ეძახიან კარტოფილს, რომელსაც სჭამენ ადამიანები.

— თვალები გაქვთ? მაშ, ჰხედავთ კიდეც რამეს მიწაში? — გაიკვირა მზეუჭვრიტამ.

კარტოფილმა წყნარად გაიცინა.

— არა, ვერ ვხედავ. ეს თვალები პაწაწკინა ორმოებია, სადაც თესლებია ჩასახული. შეიძლება კარტოფილი დასჭრათ, მერმე ორმოებიანი ნაწილები ჩარგოთ მიწაში და ამოვა ჩემისთანა კარტოფილები.

— საოცარია! ჩვენს თესლს სთესენ ხოლმე. — შენიშნა მზეუჭვრიტამ.

— მეც ეგრე ვარ! — წამოიძახა ბოლოკმა. — ხოლო შენ ამ წელსვე დამწიფდები და მე კი მხოლოდ სამერმისოდ, იმიტომ რომ მე ორწლოვანი მცენარე ვარ.

— რა გინდა სთქვა მაგითი? — ჰკითხა მზეუჭვრიტამ.

— პაპი ჩემის დედას... — დაიწყო ისევ ბოლოკმა.

მაგრამ ბოლოკმა დაიქნია თავი და კარტოფილისაკენ დაიხარა.

— მაშ, რაღასთვის გაიზარდა შენის ყვავილებისაგან ეგ მწვანე პარკები? — ჰკითხა კარტოფილმა ბოლოკსა.

— ეგ ჩემი ნაყოფი გახლავს! სახელად მრავალ-თესლოვანი ნაყოფი ჰქვიან. შიგ თესლი მწიფდება. დათესვაც შეიძლება მისი.

— ჩემი თესლიც ნაყოფია! — სთქვა კიტრმა.

— სასაცილო ხეხილებია! — სთქვა კომბოსტომ.

— ჩემი ნაყოფი ბარდაა.

— ჩემი ნაყოფი ორთესლოვანია, — განაცხადა სტაფილომ

— ჩემი კი კოლოფია, — სთქვა ხაშხაშმა. — პირველად მოლურჯოა, შემდეგ კი ხმება და წაბლის ფერს იღებს. კოლოფი შიგნით გაყოფილია ოთხად; რომელსაც თესლი დამწიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ზევიდან ჭუჭრუტანები გაკეთდება . ქარის დროს [illegible] და თესლს სხვა და სხვა მხარეს ჰფანტავს.

ყველანი გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს საშხაშის ლაპარაკს.

— ჩემ ნაყოფს კალათა ჰქვიან, —სთქვა მზეუჭვრიტამ ანუ მზესუმზირემ.

— მართლაც კალათასა ჰგავხართ,—მოისმა ღობის მირიდან წვრილი ხმა.—აბა, ყურადღება მოაქციეთ ჩემ ნაყოფს; ქარის შემწეობით ფრენა შეუძლია.

— ეგ ვინ არის?—ჰკითხა ხაშხაშს მზესუმზირემ.

— ეს „ბაბუასწვერა“ ბალახია,—უპასუხა.

— გაიწი, ხაშხაშო, გაიწი! გაიწი! ნუ აქნევ შენ წითელ თავს... მიშლი!..— შეჰყვირა ბოლოკმა.— როდესაც დიასახლისი მოვა, დაგაბეზღებ, რომ არ მასვენებ. პაპი ჩემის დედას ყველა იცნობს... ბებია ჩემი...

— გავიგეთ, გავიგეთ!—ერთხმად დაიყვირეს ყველა მწვანილებმა და ბოლოკს აღარ აცალეს ლაპარაკი.

## III

მოვიდა შემოდგომაც. ჩვენს ნაცნობ ბოსტანში რთველი იყო. ყოველ დღე მოდიოდა ბოსტანში ბებია შვილისშვილებით და მოსამსახურე გოგოთი და იღებდნენ ბოსტნეულს. დიდიხანია მაშ შემდეგ, რაც მოჰკრეფეს კიტრი და მუხის ფოთოლთან ერთად დაამჟავეს. კიტრის წნილი მშვენიერი გამოდგა. კიტრები მაგრები იყო და მწვანეები! ის კიტრი კი, რომელსაც ბოსტანში ჩხუბი ეჯავრებოდა, ყვითელი და მსხვილი იდო კვალზე და სათესლედ მწიფდებოდა. დიდი ხანია, რაც კარტოფილიც ამოიღეს. სჭამდნენ ერბოთი შეზავებულს და თან აქებდნენ: „იფ, რა გემრიელი და მსხვილი კარტოფილიაო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბოსტოს წვენს ხარშავდნენ და ღვეზელს აკეთებდნენ. მუხუდოს, სტაფილოს და თალგამს ცოველ წუთს გაჰქონდა ხრამა-ხრუში ბავშვების კბილებში, რომელთაც ძრიელ უყვარდათ პირის ჩატკბანურება. ხაშხაში ბებიამ შეაგროვა და ნამდვილად შვილისშვილებს ქადებს გამოუცხობდა.

გაბერილი ბოლოკი კვალზე წუნარად იდო. ახლა აღარ მეტიჩრობდა, მედიდურად იცქირებოდა და იცდიდა როდის წაიღებდნენ გამოფენაზე, რომ სახელი გაეთქვა...

ერთხელ ბაღში მოვიდა ბებია შვილიშვილებით და მოჯამაგირე დედაკაცი მოიყვანა თან.

— ბოლოკის ამოთხრის დროც დადგა. აბა, ქრისტინა, შეუდექი საქმეს!..— სთქვა ბებიამ. ბოლოკი უფრო გაიბერა და წაიჩურჩულა: „ახლა კი გაიგებთ, ვინცა ვარ... გაიგებთ, რა ჯიშისა ვარ... მადლიერი იქნებით, რომ ჩემ გვერდით იზრდებოდით ბაღში“.

— დახე, ბებია, რამ სისხო ბოლოკია! აი ბოლოკი!—დაიძახა პატარა ქალმა და თან ჩვენი ენა ტარტალა ბოლოკი ანიშნა.

— დიდია, მაგრამ გამოუსადეგარი!—ღიმილით უთხრა ბებიამ.

— შეიძლება ამოვაძროთ? —ჰკითხა შვილიშვილმა.

— ამოაძრეთ, გეთაყვა!

ბავშვებმა სიცილითა და ხუმრობით ამოაძრეს მსხვილი ბოლოკი.

— დიდებულ ბოლოკს სთხრიან!... დიდედა —ბოლოკს სთხრიან!

— დახეთ, დახეთ...—ჩურჩულებდნენ სტაფილოები, თალგამები, ჭარხლები, კარტოფილები და ცნობის მოყვარეობით იწევდნენ იქითკენ, რათა დაენახათ, რა ჰხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბებიკო, გეთაყვა! ეს ვეებერთელა ბოლოკი ფუყე ყოფილა! — სთქვა ყმაწვილმა და მაღლა ასწია ბოლოკი.

ყოველმა მწვანილეულმა დაინახა, რომ ბოლოკი მართლა ფუყე იყო.

— იმიტომაც იყო ისეთი ტიკტიკა, — წასჩურჩულა ნიახურმა კომბოსტოს.

— ქალბატონო, რა უყო ამას? — ჰკითხა მოჯამაგირე დედაკაცმა.

— უნდა შორს გადააგდო, — უპასუხა ბებიამ.

— მოითმინეთ... ჩემი პაპის დედა... დაიწყო შერცხვენილმა ბოლოკმა. მაგრამ ამ დროს გადაუძახეს ღობეს იქით და იქ არხში ჩავარდა.

კორდელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## კატა და მზარეული.

(იგავი)

მსუნაგ კატამ მეტისმეტად
გააბეზრა მზარეული,
მოჰპარავდა სანოვაგეს,
რაც მას ჰქონდა შენახული.

ხურგიელიც რომ მოსტაცა,
ჯავრზე ჯავრი მოემატა:
მზარეულმა მახე დადგა,
რომ შეიპყროს ქურდი კატა.

შიგ შემწვარი თევზი შედო,
თითონ განგებ მიემინა...
კატამ იქით გაიარა,
თევზის სუნი მიედინა.

ფეხ-აკრეფით შეიპარა,
ნახა, სძინავს მზარეულსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები მთლად აებლანდა,
თევზის სუნით არეულსა!

მახე სულ ვერ გაარჩია,
ეს სულელი თევზს მივარდა,
მაგრამ — დახეთ — უბედური
გაჭირვებაში ჩავარდა!

მზარეული წამოვარდა,
წამოავლო ჯოხსა ხელი,
და, მკითველო, გამოიცან,
ქურდის კატის განსაცდელი!..

მ. ლელაშვილი





# სხივოსანი ფერია.

(თარგმანი)



აი, უკვე მეშვიდე დღეა, რაც მაროს დედა ავად არის და ლოგინიდან ვეღარ დგება. დაღონებული და შიშისაგან თავზარდაცემული მარო ზის თავის დედის ლოგინთან და ისმენს სიცხიანის უაზრო ბოდვას.

— რა ვქნა, რა ვქნა, რა უყო? — ჩურჩულებს თავისთვის სასოწარკვეთილი მარო და იმტვრევს პაწია ხელებს. მაგრამ პატარას მანუგეშებელი არავინა ჰყავს. ხოლო ავადმყოფი კვლავ ბოდავს და გაუგებარ სიტყვებს ისვრის.

მოაგონდება უცებ მაროს ამ ცოტა ხნის წინად დედის ნაამბობი, რომ მახლობელ ტყეში სცხოვრობსო ერთი კეთილი სხივოსანი ფერია. ამ ფერიას ძლიერ უყვარს კეთილი და გამგონი ბავშვები და ყოველთვის შველისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავალ, მოვძებნი ამ კეთილ ხსივოსან ფერიას,—ფიქრობს მარო,—ვეტყვი: „საყვარელო, კეთილო, ხსივოსანო ფერიავ! უშველე ჩემს დედას, კარგად გახადე. ყოველთვის კეთილი და გამგონი ვიქნები, ყველაფერს შევასრულებ, რასაც კი მიბძანებ, მხოლოდ განკურნე ჩემი დედიკო. ჩემი დედა ძლიერ კეთილია, უშველე, ჩემო კეთილო, საყვარელო ფერია.“

დიდხანს აღარ იფიქრა მარომ, სწრაფად წამოდგა, ჩაიცვა ტანისამოსი და გასწია ტყისკენ. თუმცა ზაფხულის ბრწყინვალე მზე უხვად ჰფენდა თავის სხივებს და აცხუნებდა, მაგრამ დაბურულს ტყეში თითქმის სრულიად ბნელოდა. რამდენიც წინ მიდიოდა მარო ბილიკ-ბილიკ, იმდენად ტყე ხშირი და ბნელი ხდებოდა. გარშემო არა-რა სულიერი არ სჩანდა, ჩიტებიც კი არსად სჩანდნენ. მოშრიალე ფოთლები თითქოს ამას ეუბნებოდნენ მაროს: რად მოდიხარ ამ მიყრუებულ ადგილს? აქ ხომ დათვები შეგჭამენ. შეკრთა, შეშინდა მარო. აი, თითქოს კიდევაც ხედავს უშველებელ დათვს, რომელსაც საშინლად დაუღია პირი, დაუკრეჭია წვეტიანი კბილები და მიეშურება მაროსაკენ. მზად არის გადაულაპოს. კანკალებს საცოდავი მარო და, აი, უნდა დაბრუნდეს უკან, გაჰკურცხლოს თავის სახლისკენ. მაგრამ მოიგონა უცებ თავისი ავადმყოფი დედა, სიცხისაგან გამშრალ, გაფითრებულ ტუჩებით და შიში უეცრად სადღაც გაჰქრა.

— მინდა კარგი საქმე გავაკეთო; უნდა უშველო ჩემს ავადმყოფს დედას, ამიტომ არაფრის არ უნდა მეშინოდეს. კეთილი ფერია დამიხსნის განსაცდელისაგან,—და მხნედ მიდიოდა წინ.

აი ტყეც თანდათან თხელდება, სინათლე ემატება, და ბოლოს, პატარა მაროს თვალ წინ გადაეშალა მშვენიერი ველი, მთლად გაბრწყინვებული მზის შუქით. მინდორი მოფენილი იყო მშვენიერ ყვავილებით, ჩიტები ისე საამურად ჭიკჭიკობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, რომ მაროს მთლად გადაავიწყდა თავისი დარდი, მოქანცული და დატანჯული დაჯდა დიდ ხის ქვეშ და ჩასთვლიმა.

ტკბილად სძინავს მაროს და ესიზმრება, ვითომც კეთილი სხივოსანი ფერია დახრილა, თავზედ ჰკოცნის და ალერსით ეუბნება: „კეთილო ბავშვო, ძლიერ მეცოდები და ამიტომ გიშველი კიდეც“

სთქვა თუ არა ესა—სხივოსანმა ფერიამ აიღო დიდი ნაჯახი და დაჰკრა ხეს, რომელიც მაროს მახლობლად იდგა. ნაჯახი ღრმად ჩაერჭო ხეს; ხე მთლად შეირყა, ათრთოლდა, თითქოს ტკივილებისაგან. ფერიამ რომ ნაჯახი ამოიღო, ხიდგან წვეთ-წვეთად ჩამოვიდა სქელი, ოქროს ფერი წვენი.

— მოაგროვე ეს წვენი,—ეუბნება ფერია მაროს,—ეს სამკურნალო წვენია, დაალევინე დედა შენს და მორჩება, მხოლოდ მოდი ისევ, მადლობის გადახდა არ დაგავიწყდეს.

გამოეღვიძა მაროს, იყურება, გარშემო არავინ არის, ხე კი ნამდვილად შუა გაპობილია და იქიდან წვეთავს ოქროს ფერი წვენი. მონახა ხის ქერქი, დაახვია, შიგ მოაგროვა ეს წვენი და საჩქაროდ გასწია თავის სახლისკენ.

კარგა შეღამებული იყო, როცა მარო სახლში დაბრუნდა. დედა ისევ უგონოდ იწვა. მარო მიუახლოვდა დედის ლოგინს, შედგა სკამზე მიიტანა კოვზი, დაასხა მკურნავი წვენი და მიუტანა ტუჩებთან. ავადმყოფმა ხარბად დალია სურნელოვანი წამალი. მარო დაემხო ხატის წინ და დაუწყო ღმერთს ვედრება, რომ დედა მალე მორჩენილიყო. სიარულს დაუჩვეველი, მარო საშინელს მოქანცულობას გრძნობდა. მოიკუნტა დედის ახლოს და ჩაეძინა.

მეორე დღეს, როდესაც ბავშვმა გაიღვიძა, დედა უკვე ლოგინში წამომჯდარიყო და ალერსიანად უცქეროდა თავის საყვარელს შვილს. გახარებული მარო მოეხვია დედას და გაშმაგებით დაუწყო კოცნა. გავიდა რამდენიმე დღე. ავადმყოფი თანდათან გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთდა და ბოლოს სულ კარგად გახდა. მაროს დედის [illegible] ყოფნა მალიან ახარებდა და იმავე დროს არ ავიწყდებოდა კეთილი ფერია და სულ იმასა ფიქრობდა, თუ რით გადაუხადო მადლობა წამლისათვისაო. მაროს დედისაგან ნაჩუქარი ჰქონდა ბეჭედი, რომელიც ძლიერ უყვარდა. გადასწყვიტა ეს ბეჭედი, მადლობის ნიშნად, ეძღვნა ფერიასთვის, რადგანაც მაროს საყვარელი დედა მოურჩინა.

ერთხელ, დილით ადრე ადგა მარო და გაემგზავრა ნაცნობ ტყეში, კეთილ ფერიას მოსაძებნად. დიდხანს იარა მარომ უგზო-უკვლოდ, მთლად მოიქანცა, მაგრამ ფერია მაინც ვერ ნახა. არ იცოდა, რა ექმნა მარტოდ-მარტო ამ დაბურულს ტყეში. ის იყო ტირილს აპირებდა, რომ უცებ იმ ადგილის მახლობლად, სადაც იდგა, ბავშვმა დაინახა რაღაც არა ჩვეულებრივი შუქი, ჩუმად, ფეხ-აკრეფით წავიდა პირდაპირ ამ შუქისკენ და დაინახა სხივოსანი ფერია, რომელიც დაფიქრებული იჯდა დიდ ხის ქვეშ. მღელვარებისაგან აცახცახებულმა, ხელებ გაწვდილმა ბავშვმა ხმა მაღლა შეჰყვირა, გაექანა და კეთილ ფერიას წინ დაიჩოქა.

— საყვარელო, კეთილო ფერია,—ტიკტიკებდა ცრემლებმორეული ბავშვი,—როგორ გადაგიხადო მადლობა. შენ განკურნე ჩემი დედა და ბედნიერება მოგვანიჭე ორივეს. საყვარელო ფერია, მიიღე ჩემგან სახსოვრად ეს ბეჭედი, მერწმუნე ძლიერ კარგია და ძლიერაც მიყვარს.

მარომ აიღო და, ჯერ ისევ დაჩოქილმა, მიაწოდა თავისი ბეჭედი ფერიას.

— კარგი ქალი ხარ,—ალერსით უპასუხა ფერიამ:—დედა გიყვარს და იმავე დროს სიკეთესაც არ ივიწყებ. ეს ძლიერ კარგია. იყავ ყოველთვის ჭკვიანი, გამგონი, და მეც არასოდეს არ დაგივიწყებ. ბეჭედი, რომელიც შენ გინდა მითავაზო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩუქრად, შენვე დაიტოვე. ეგ ხომ შენის საყვარელის დედის საჩუქარია; ვიცი, რა ძნელია შენთვის მაგის დათმობა. ჩემთვის-კი ცარიელი მადლობაც საკმარისია. ამის თქმაზე ფერია გაქრა. მაროშ დახედა თავის ბეჭედს: ასე მოეჩვენა, თითქოს ახლა უფრო მეტად ბრწყინავდა, ვიდრე წინად...

**ნ. ავალიანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

16 აგვისტოს, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა უნიჭიერესი არტისტი ქალი ნატო გაბუნია-ცაგარლისა. ნატალია გაბუნია დაიბადა გორში 1859 წ. 3 თებერვალს. მისი მოღვაწეობა ქართულ სცენაზე დაიწყო 1879 წ. როცა ტფილისში დაარსდა სამუდამო დასი და ამ ხნიდან დაიწყო მისმა ვარსკვლავმა ბრწყინვალე კაშკაში ქართველ ერის სასახელოდ. ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში ნატოს შეუსრულებია ბევრი სხვა და სხვა როლი. განსაკუთრებული როლები ჰქონდა ნატოს ეგრედ წოდებული „ბებრების კომიკური როლები“, ამ როლებში ნატო შეუდარებელი იყო. საოცარის სინამდვილით ხატავდა გაბუნია-ცაგარლისა კაჰასებს, ანჩხლებს და ენა სანსარა უბედს დედაკაცებს. ამ რვა თვის წინად ნ. გაბუნიას 30 წლის მოღვაწეობის იუბილეი გადაუხადეს. განსვენებული 50 წლისა იყო, და ჯერ კიდევ შეეძლო ემსახურა ქართულ თეატრისათვის, ამიტომაც ქართველი ერი ძლიერ დაალონა ასეთის ძვირფასის ნიჭის უდროვოდ დაკარგვამ. ნ. გაბუნია მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახალხო წარმოდგენებში და დადიოდა დაბასოფლებშიაც. სიმღერა იმდენად უყვარდა, რომ მომაკვდავმაც-კი განაცხადა სურვილი მოეყვანათ მეთარე, რომ უკანასკნელად „ჩემო კარგო ქვეყანა“ ემღერა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცადა.


ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

განსვენებულის გვამი 19 აგვისტოს მიწას მიაბარეს. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ტასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზმა

იქ ბოლო კი არა თავია.

## რებუსები

(წარმოდგენილი კ. დარაშვილის მიერ)





**მე-15 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:**

თოფი ხისა, ტყვია წყლისა,
ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ. მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

**ზღაპრები,** ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

**ტომის თავგადასავალი,** თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . . . 50 კ.

**რას გვიამბობს ოთახი.** თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . . . 20 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

## 1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

**წელიწადი მეექვსე**

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. **დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი**, — ზღაპარი ევალდისა ექვსი სურათით. — II. **მარჯნები**, — ზღაპარი ევალდისა ოთხი სურათით. III. **თოვრმეტი და**, — ზღაპარი ევალდისა ერთი სურათით. — IV. **ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

საზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**